სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080163932433422

№ 2355 18 / ივლისი / 2022 წ.

ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 14 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ SMP220002045 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სატრანსპორტო საშუალების დაქირავების მომსახურების შესყიდვას (CPV - 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები), ღირებულებით 1530.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმდინარე წლის 22 ივლისს ქალაქ თბილისში იმართება ფესტივალი „არტ გენი“, სადაც მონაწილეობის მისაღებად მიწეულია ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან“ არსებული ხალხური სიმღერისა და გალობის ვაჟთა ანსამბლი „ერობა“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „დიდებაი“, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „კალთა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთის შვილები“. ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრს“ „არტ გენისგან“ მოწვევა გაეგზავნა 2022 წლის 11 ივლისს. საგულისხმოა, რომ სატრანსპორტო საშუალების დაქირავების მომსახურების შესასყიდად ცენტრს გამოცხადებული აქვს NAT220013501 ელექტრონული ტენდერი, რომლის სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. იმისათვის, რომ არ შეფერხდეს დაგეგმილი ღონისძიების ჩატარება, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, მიმდინარე წლის 22 ივლისს ქალაქ თბილისში იმართება ფესტივალი „არტ გენი“, სადაც მონაწილეობის მისაღებად მიწეულია ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან“ არსებული ხალხური სიმღერისა და გალობის ვაჟთა ანსამბლი „ერობა“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „დიდებაი“, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „კალთა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთის შვილები“. ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრს“ „არტ გენისგან“ მოწვევა გაეგზავნა 2022 წლის 11 ივლისს. საგულისხმოა, რომ სატრანსპორტო საშუალების დაქირავების მომსახურების შესასყიდად ცენტრს გამოცხადებული აქვს NAT220013501 ელექტრონული ტენდერი, რომლის სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. იმისათვის, რომ არ შეფერხდეს დაგეგმილი ღონისძიების ჩატარება, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ SMP220002045 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე